ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8163294

ნომერი: AR11169206

თარიღი : 11.11.2026

გაცემის თარიღი : 18.11.2026

გაცნობის თარიღი : 18.11.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 5 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი , ნაკვეთი 06/034;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა ახვლედიანი პ/ნ 01005009901
- უნივერსიტეტის ქუჩა 24

ორგანიზაცია:
- შპს "ჩემი სახლი" კოდი: 400119073

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 15 სექტემბრის №8084347 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 11 ნოემბერს №AR11169206 განცხადებით მომართა გოჩა ახველდიანმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 15 სექტემბრის №8084347 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 15 სექტემბრის №8084347 ბრძანებით, №01.14.06.006.158 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 2 (2D), შენობა 5) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2026 წლის 6 ნოემბრის №8153012 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 15 სექტემბრის №8084347 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, აქტში მითითებული საცხოვრებელი ფართი ნაცვლად - 12954.6კვ.მ-სა უნდა მიეთითოს - 12957 კვ.მ, საზაფხულო ფართობი ნაცვლად - 3117.3კვ.მ-სა უნდა მიეთითოს 2935 კვ.მ; კომერციული ფართობი ნაცვლად - 2246.9კვ.მ-სა უნდა მიეთითოს - 2290 კვ.მ; ავტოსადგომის ფართობი ნაცვლად - 5266.1კვ.მ-სა უნდა მიეთითოს - 5006 კვ.მ, ხოლო დამხმარე ფართობი ნაცვლად - 356.3კვ.მ-სა უნდა მიეთითოს - 344.1 კვ.მ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფართობების გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც და 28814.9 კვ.მ-ს ნაცვლად იქნება - 28405.8 კვ.მ. შესაბამისად, შეთანხმებულ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დაზუსტების მიზნით, შესაძლებელია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 15 სექტემბრის №8084347 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 15 სექტემბრის №8084347 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს - 12957 კვ.მ; საზაფხულო ფართობად - 2935 კვ.მ; კომერციულ ფართობად - 2290 კვ.მ; ავტოსადგომის ფართობად - 5006 კვ.მ; დამხმარე ფართობად - 344.1 კვ.მ; საერთო ფართობად - 28405.8 კვ.მ.;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 15 სექტემბრის №8084347 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.